საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№2704 2019 წლის 26 დეკემბერი ქ. თბილისი

„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლით გათვალისწინებულ შეზღუდვაზე სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისათვის გამონაკლისის დაშვების თაობაზე

1. „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების საფუძველზე, სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურზე არ გავრცელდეს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვა და მიეცეს თანხმობა, რომ 2020 წლისათვის დამხმარე და არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა განსაზღვროს არა უმეტეს 720 ერთეულით.

2. განკარგულება ძალაშია 2020 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**